პოლისემიური სიტყვების მრავალგანზომილებიანი მოდელები

მრავალგანზომილებიანი ეწოდება ისეთ პოლისემანტურ სიტყვას, რომლის სემანტიკური სტრუქტურა რამდენიმე ერთგანზომილებიანი მწკრივისაგან შედგება, ე.ი. რამდენიმე გამჭოლი სემის საფუძველზეა წარმოშობილი. მოცემული მოდელით აგებული პოლისემანტური სიტყვები არ არის ერთგვაროვანი. მათი სემანტიკური სტრუქტურები ხასიათდება სხვადასხვაგვარი მიმართებებით გამჭოლ სემებს შორის, რის საფუძველზეც გამოიყოფა მრავალგანზომილებიანი სიტყვის სამი მოდელი:
ეკვიპოლენტური, კიბისებური და შერეული.

ეკვიპოლენტური მოდელი

ეკვიპოლენტური მოდელი ხასიათდება დამოუკიდებელი მიმართებებით გამჭოლ სემებს შორის (equippolent – ტოლმნიშვნელობიანი, ტოლფასიანი).
ამ მოდელის პოლისემანტური სიტყვის მნიშვნელობების წარმომშობი გამჭოლი სემები სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურიდან გამოიყოფა. ამდენად, მათ ერთნაირი სტატუსი აქვთ ძირითად მნიშვნელობასთან მიმართებაში, ეკვიპოლენტური ანუ ტოლმნიშვნელოვანნი არიან ერთმანეთის მიმართ (იხ. სურათი 3).



სურათი 3

მოცემული მოდელის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ინგლისური სიტყვა **narrow.** აღნიშნული ზედსართავი სახელის ძირითადი მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში გამოიყოფა შემდეგი სემები:
მცირე განფენილობა ორ მხარეს შორის (***having little extent between the sides***);
შეზღუდულობა, ჩაკეტილობა ორი მხრიდან (***being limited***);
ორი მხარის ახლო მდებარეობა (***being near, close***).
მოცემული სემები ხდება **narrow** ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურის გამჭოლი სემები და მოცემული ზედსართავი სახელის სამ ერთგანზომილებიან ეკვიპოლენტურ მწკრივს წარმოშობს.

I მწკრივი ***having little extent between the sides***
1) of little breadth, not wide or broad
narrow window, narrow street, narrow road, narrow well, narrow bridge
(***having little breadth from side to side***)

II წკრივი ***being limited***
1) of no great extent, confined, small

narrow space, narrow place
(***being limited in spacial extent***)
2) restricted, not comprehensive
narrow knowledge, narrow human wit, her life was narrow and uninteresting
(***being limited in scope***)
3) not far-reaching, extensive
narrow fame, narrow sampling of public opinion
(***being limited in renown***)
4) not general
narrow meanings, narrow sense of the name
(***being limited in extent of meaning***)
5) not liberal, prejudiced, bigoted
she is narrow, selfish; narrow-minded
(***being limited in views, sympathies***)

III მწკრივი ***being close***
1) stingy, parsimonious, niggardly
(***being close in expenditure***)
2) precise, careful, strict
narrow inquiry, narrow scrutiny, narrow search
(***being close [meticulous on details] in search***)
3) barely effected, barely successful
a narrow escape, a narrow margin
(***being close to failure, defeat***)

კიბისებური მოდელი

კიბისებური მოდელის ზედსართავი სახელის პოლისემანტური სტრუქტურის ყოველ ერთგანზომილებიან მწკრივში წარმოიშვება ახალი გამჭოლი სემა, რომელიც შემდგომ ერთგანზომილებიან მწკრივს წარმოშობს და ა.შ. (იხ. სურათი 4).

ამ მოდელს განეკუთვნება ჩვენს მიერ უკვე განხილული ზედსართავი სახელები **thick** და **thin** (იხ. ლექცია 4).



thick ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურის პირველ ერთგანზომილებიან მწკრივს საფუძვლად უდევს გამჭოლი სემა ***having relatively great extension between the opposite surfaces.***

I მწკრივი

1) having relatively great extension between the opposite surfaces
thick book, thick wall, thick glass
(***having relatively great extension between the surfaces***)
2) heavily built, burly, muscular
thich shoulders, thick figure, thick arms
(***having relatively great bulk "from one surface to its opposite"***)
3) deep
(***having relatively great extension from top to bottom***)

II მწკრივი

აღნიშნული ზედსართავი სახელის მეორე მნიშვნელობაში **heavily built, burly, muscular** გამოიყოფა გამჭოლი სემა:
being compact, consisting of closely occupied, filled or set individual components, რომელიც განხილული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურის მეორე ერთგანზომილებიან მწკრივს წარმოშობს, კერძოდ:

4) dense, crammed
thick forest, thick hair, thick moustach
(***consisting of closely occupied, filled or set hair, trees***)
5) numerous, occurring in large numbers in a limited area
a thick crowd, thick throngs of young people
(***consisting of closely occupied, filled or set individuals***)
6) viscous in consistency
thick coffee, thick soup, thick greese
(***consisting of closely occupied, filled or set components of solid matter***)
7) having the component particles densely aggregated so as to hinder vision
thick fog, thick smoke, thick mist, the air was thick
(***consisting of closely occupied, filled or set component particles of mist, fog, smoke, etc***)

III მწკრივი

ზედსართავი სახელის **thick** მეშვიდე მნიშვნელობაში
having the component particles densely aggregated so as to hinder vision, გამოიყოფა ახალი გამჭოლი სემა ***being indistinct,*** რომელიც ზედსართავი სახელი **thick**-ის სემანტიკურ სტრუქტურაში კიდევ ერთ ერთგანზომილებიან მწკრივს წარმოშობს.

1) not clear, foggy, misty (of weather)
thick day, thick morning, thick weather
(***being indistinct in vision [because of haze, fog, etc]***)
2) imperfectly articulated, muffled, guttural
thick words
(***being indistinct in sounding***)
3) (of hearing) dull of perseption
thick of hearing
(***being indistinct in hearing***)

4) obtuse, stupid
thick-headed
(***being indisting in mind, understanding***).

შერეული მოდელი

შერეული მოდელის პოლისემანტური სიტყვებისათვის ნიშანდობლივია როგორც ეკვიპოლენტური, ისე არაეკვიპოლენტური, დაქვემდებარებული მიმართებები სემანტიკური სტრუქტურის წარმომშობ გამჭოლ სემებს შორის.
შერეული მოდელის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ინგლისური პოლისემანტური სიტყვა **round.** მოცემული სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურას საფუძვლად უდევს ხუთი გამჭოლი სემა:
being circular;
being free from angularity;
being complete;
being full;
being swift.
ინგლისურ ენაში სიტყვა **round** ხასიათდება ისეთი ნიშნებით, როგორიცაა:
1. ზედაპირის ყოველი წერტილის თანაბარდაშორებულობა ცენტრიდან (***being circular***), 2. საწყის წერტილთან დაბრუნება, ending at the starting point (***being complete***), 3. არაკუთხოვანი, მომრგვალებული ფორმა (***being free from angularity***).
მოცემული სემები, ხდებიან რა გამჭოლი სემები, **round** ზედსართავი სახელის სემანტიკურ სტრუქტურაში სამ ერთგანზომილებიან მწკრივს წარმოშობენ. პირველი სამი გამჭოლი სემა ეკვიპოლენტურ მიმართებებშია ერთმანეთთან, შემდეგ საფეხურზე კი სტრუქტურა კიბისებურად ვითარდება (იხ. სურათი 5).



სურათი 5

I მწკრივი
1) circular
a round ball
(***being circular in shape***)
2) approximately round
a round face
(***being approximately circular in shape***)

II მწკრივი

3) plump, well filled out
round cheeks
(***being free from angularity in shape***)

4) polite, friendly
round personality
(***being free from angularity in character or manner***)

III მწკრივი
5) complete, full
a round dozen, a round ton
(***being complete in quantity***)
6) straightforward, honest
a round answer
(***being complete in expressing one's thoughts***)
7) finished, complete
a round trip
(***being complete in course***)

მეორე მწკრივის ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტში ძლიერდება სისავსის სემა ***being full*,** რომელიც ხდება გამჭოლი სემა და **round** ზედსართავი სახელის მეოთხე ერთგანზომილებიან მწკრივს წარმოშობს.

IV მწკრივი
8) mellow, sonorous
a round voice
(***being full in resonance***)
9) presented with lifelike fullness and vividness
the characters are round
(***being full in presentation***)
10) heavy, hard, severe
a round blow
(***being performed with a full swing***).
4 მწკრივის ლ ს ვ-ში heavy, hard, severe (ძლიერი დარტყმა, გარტყმა), ინდუცირდება გამჭოლი სემა ***being swift*,** რომელიც კიდევ ერთ მწკრივს წარმოშობს **round** ზედსართავი სახელის სემანტიკურ სტრუქტურაში.

V მწკრივი
11) brisk, fast, rapid
a round pace
(***being swift in movement***).

როგორც დავინახეთ, გამჭოლი სემა სიტყვის ძირითადი ან გადატანითი მნიშვნელობის რომელიმე პოტენციური სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე წარმოიშობა. ასოციაციური ნიშნები, რომლებიც სიტყვის მნიშვნელობის პოტენციურ სემებშია ასახული, როგორც აღინიშნა (იხ. ლექცია 3), ხშირად ინდივიდუალურ, „ეთნიკურ“ ხასიათს ატარებს. ისინი დაკავშირებული არიან მოცემული ენობრივი კოლექტივის ყოველდღიურ პრაქტიკულ გამოცდილებასთან, მის ისტორიასთან, კულტურასთან, ფოლკლორთან, ლიტერატურასთან და სხვა, რის გამოც ეს ასოციაციები განსხვავდება სხვადასხვა ენაში.

აქედან გამომდინარე, ერთი და იმავე სიტყვებს სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სემანტიკური კომპონენტები აქვთ და მათი პოლისემანტური სტრუქტურებიც სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან.